

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N62

ქ.თბილისი

24 ოქტომბერი, 2025 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ლევან არველაძე

ნათია მოდეზაძე

საბა ზუაძე

შალვა ოგბაძე

მარიამ გელაშვილი

ვიტალი ონიანი

ოთარ გრიგოლია

გურამ ოქროპირიძე

ლევან დავითაშვილი

ნინო რუხაძე

ნინო ვარდოსანიძე

თამარ ჩახვაშვილი

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

გივი ჩხარტიშვილი

ანა კაკაბაძე

ავთანდილ ცინცაძე

მიხეილ კაკაურიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ლევან ჯაფარიძე

ანა კილაძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ არაგველი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა არის VII მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა და მადლობა გადაუხადა კოლეგებს, რომლებმაც, მისი თქმით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ბევრი იშრომეს, იმუშავეს და ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს დედაქალაქისთვის. მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა იმ კოლეგებს, რომლებიც აღარ იქნებიან VIII მოწვევის საკრებულოს წევრები და იმედი გამოთქვა, რომ გაგრძელდება მათთან თანამშრომლობა და მეგობრობა. ზურაბ აბაშიძემ წარმატებები უსურვა ასევე, მათ, ვინც საქმიანობას განაგრძობენ საკრებულოში და განაცხადა, რომ მათი გუნდი, მომდევნო წლების განმავლობაში, კიდევ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს ოპოზიციონერ კოლეგებს გაწეული საქმიანობისთვის, ოპონირებისთვის და განაცხადა, რომ ოპონირება საჭიროა, როგორც ამ ინსტიტუტში, ასევე, ნებისმიერ საქმეში და წარმატებები უსურვა ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც იქნებიან VIII მოწვევის საკრებულოს წევრები. საუბრის ბოლოს, ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა მედიის წარმომადგენლებს და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს.

ოთარ გრიგოლიამ მადლობა გადაუხადა თითოეულ კოლეგას და აღნიშნა, რომ მისთვის, საკრებულოში საქმიანობის რვა წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ძალიან გაიზარდა, როგორც პიროვნულად, ასევე, პროფესიონალურად. მან მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, რომ, მასთან ერთად, ეკეთებინა ძალიან ბევრი კარგი საქმე და „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს, რომლებმაც მისცეს შესაძლებლობა, ემსახურა ქვეყნისთვის. ოთარ გრიგოლიამ ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თანამშრომლებს და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს ამ წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებს, მოადგილეებს და ყველა თანამშრომელს, რომლებიც ყოველდღიურად შრომობენ იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქი და ქვეყანა წინ წავიდეს. ოთარ გრიგოლიამ მადლობა გადაუხადა ზურაბ აბაშიძეს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მომავალი საკრებულო იქნება კიდევ უფრო უკეთესი. მან ასევე, მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს, რომელიც, მისი თქმით, განსაკუთრებული ადამიანი და ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი პიროვნებაა, რადგან საკრებულოში მისი მოღვაწეობა და განვლილი წლები იყო ძალიან მნიშვნელოვანი. აქვე, დიდი მადლობა გადაუხადა გიორგი ახვლედიანს იმისთვის, რომ ამ წლების განმავლობაში იყო საკრებულოს თავმჯდომარის ღირსეული მოადგილე და მიმართა მას: „პირადად ჩემგან დიდი პატივისცემა და სიყვარული შენ, რომ ესეთი კარგი კაცი ხარ. მე შენი ბევრი გვერდში დგომა მახსოვს და დარწმუნებული ვარ, ყველას, თითოეულ ჩვენგანს. მადლობა იმისთვის, რომ ჩვენთან იყავი“. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ წარმატებები უსურვა VIII მოწვევის საკრებულოს და განაცხადა, რომ სურს, მომავალი საკრებულო იყოს კიდევ უფრო წარმატებული, ვიდრე ის აქამდე იყო.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ სურს დიდი მადლიერებით გაიხსენოს ის პერიოდი, როდესაც მიეცა შესაძლებლობა, თბილისის საკრებულოს წევრის რანგში ემსახურა ამ ინსტიტუტში, მისთვის დიდი პრივილეგია იყო, საკრებულოს წევრებთან ერთად, ყოფილიყო იმ დიდი საქმეების ნაწილი, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა თბილისში. მისი თქმით, 4 ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ ის პროექტები და ინიციატივები, რომლებიც თბილისში განხორციელდა კახა კალაძის ლიდერობით, დედაქალაქის მაცხოვრებლებში ნამდვილად სარგებლობს დიდი მოწონებით და მხარდაჭერით, რაც წარმატებული საქმიანობის ყველაზე დიდი ინდიკატორია. საუბრის ბოლოს, ნინო რუხაძემ წარმატებები უსურვა თბილისის საკრებულოს ახალ შემადგენლობას ჩვენი ქალაქის და ქვეყნის საკეთილდღეო საქმეების კეთებაში.

კონსტანტინე ზარნაძემ მადლობა გადაუხადა პარტიას „ქართული ოცნება“, მის თავმჯდომარეს და დედაქალაქის მერს იმისთვის, რომ მიეცა შესაძლებლობა გასული ოთხი წელი ემსახურა თბილისის სამსახურში და ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაიონის - გლდანის

მაჟორიტარი დეპუტატი. მან მადლობა გადაუხადა ასევე, გლდანის რაიონის მოსახლეობას იმ პროექტებში ჩართულობისთვის, რომლებიც განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში, საკრებულოს თითოეულ წევრს გვერდში დგომისთვის, საკრებულოს თავმჯდომარეებს - გიორგი ტყემალაძეს და ზურაბ აბაშიძეს, დედაქალაქის მერის მოადგილეებს, მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს, გამგებლებს, გამგეობების თანამშრომლებს და საკრებულოს თანამშრომლებს. განაცხადა, რომ გასული ოთხი წელი ნამდვილად იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი დედაქალაქისთვის, რადგან განხორციელდა ძალიან დიდი და ღირსეული პროექტები, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შემდეგი ოთხი წელი იქნება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ქალაქის განვითარების კუთხით და მოხარულია, რომ კიდევ ერთხელ ერგო პატივი იყოს თბილისის სამსახურში. საუბრის ბოლოს, განაცხადა: „მინდა ყველას დაგვირდეს, რომ მაქსიმუმს გავაკეთებ, იმ გუნდთან ერთად, რომელიც დედაქალაქის საკრებულოში იქნება, რომ ეს ქალაქი იყოს კიდევ უფრო მოწესრიგებული, მწვანე, განვითარებული და უკეთესი ხვალისდელი დღე იყოს ამ ქალაქის შეუქცევადი პროცესი“.

საბა ბუაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქალაქის განვითარებაში, მადლობა გადაუხადა როგორც ოპოზიციონერ, ასევე, უმრავლესობის წევრ კოლეგებს და აღნიშნა, რომ მართალია იშვიათად, თუმცა, მაინც ახერხებდნენ ეპოვნათ საერთო ნიადაგი ქალაქის საკეთილდღეოდ. საბა ბუაძემ მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს გასული წლებისთვის და აღნიშნა, რომ ის, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ძალიან მძაფრი დაპირისპირების პირობებშიც კი, ახერხებდა შეექმნა ისეთი ვითარება, რომ ყოველთვის არსებულიყო ოპოზიციასთან საუბრის სივრცე და აქვე, ამ ტრადიციის გაგრძელებისთვის, მადლობა გადაუხადა ზურაბ აბაშიძეს და წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს. საბა ბუაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის თითოეულ თანამშრომელს, რომლებმაც, მისი თქმით, საკრებულოს წევრების მუშაობა გახადეს ძალიან კომფორტული, მათ შორის, ელენე დუმბაძეს და ელენე კაპანაძეს, რომლებიც მუდმივად მზად იყვნენ საკრებულოს წევრებს დახმარებოდნენ ძალიან საპასუხისმგებლო საქმის განხორციელებაში. აქვე განაცხადა, რომ მისი ცხოვრების უდიდესი პატივია ის, რომ ამ წლების განმავლობაში, საკრებულოს ტრიბუნიდან ესაუბრა თბილისელების სახელით მათ ინტერესებზე და დიდი მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ჰქონდა თანამშრომლობის მზაობა, როგორც საკრებულოში, ასევე, მერიაში. საბა ბუაძემ ისაუბრა ირაკლი ნადირაძეზე და განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რასაც არ უნდა ვფიქრობდე 4 ოქტომბერზე, როგორც ძალიან მძიმე პოლიტიკურ შეცდომაზე, მე ვიცი, რომ ირაკლი არის კარგი ადამიანი, არის პატრიოტი, ამ ქალაქს ემსახურებოდა ძალიან პატიოსნად წლების განმავლობაში და მინდა ადამიანურად, ჩემი მხარდაჭერა და პატივისცემა გამოვხატო ირაკლი ნადირაძის მიმართ“. საბა ბუაძე შეეხო კორუფციის თემა და აღნიშნა, რომ მისი საუბრის ძირითადი ფოკუსი, წლების განმავლობაში, იყო კორუფცია, მათ შორის, საკრებულოში მისი პირველი გამოსვლა დაიწყო კორუფციაზე საუბრით, ხოლო დღეს, გვაქვს ისეთი მოცემულობა, რომ „ქართული ოცნება“ მასზე უფრო ხშირად საუბრობს საკუთარ რიგებში არსებულ კორუფციაზე, პატიმრობაშია თავდაცვის მინისტრი, საქმეებია აღძრული ინფრასტრუქტურის სამინისტროში, პატიმრობაშია ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, საქმეები მიმდინარეობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის და ყოფილი მთავარი პროკურორის წინააღმდეგ, დღეს მოვისმინეთ ბრალის აღიარება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის და „ქართული ოცნების“ ყველაზე ხანგრძლივი ლიდერის - ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან და აქედან გამომდინარე, მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „დამერწმუნეთ, ეს მე არანაირად არ მაძლევს კმაყოფილების საფუძველს, პირიქით, ნეტა მე აღმოვჩენილიყავი მტყუანი და ამ მოცემულობის წინაშე არ ვყოფილიყავით. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ამ კორუფციაზე პასუხისმგებლობა მარტო იმ ადამიანებს კი არ აქვთ, რომლებიც დღეს გამოძიების ქვეშ არიან, ამ კორუფციაზე პასუხისმგებლობა ეკუთვნის მთლიანად „ქართულ ოცნებას“, რომელმაც, სამწუხაროდ, თავისივე რიგებში მოკლა ზედამხედველობის და ოპონირების ინსტიტუტი, რომელმაც ოპოზიცია, სამწუხაროდ, ამ წლების განმავლობაში გამოაცხადა მტრად და ჩვენი ძალიან კონკრეტული არგუმენტები და ფაქტები, რომლებზეც ამ ტრიბუნიდანაც და სხვა

ტრიბუნიდანაც ვსაუბრობდით, იქნა იგნორირებული და ამან მოგვიყვანა ამ მდგომარეობამდე... ახლა, როდესაც ჩემი პროგნოზი მათემატიკური სიზუსტით ახდა, კიდევ ერთ პროგნოზს გავაკეთებ - დარწმუნებული ვარ, რომ ეს გზა აუცილებლად მივა, მათ შორის, თბილისის მერიის მოქმედ და ყოფილ მაღალჩინოსნებამდე, აუცილებლად მივა გამოძიება ირაკლი ხმალაძემდე, რომელიც თბილისის მერიაში იყო კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი სვეტი, აუცილებლად მივა უკვე ყოფილ მაღალჩინოსნებამდე, რომლებსაც ჰგონიათ, რომ რაღაცნაირად, თანამდებობის დატოვებით, დაასწრეს მოვლენებს და პასუხისმგებლობას გაექცნენ და აუცილებლად, მე დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ივანიშვილის მმართველობის პირობებში, თუ შემდეგი ხელისუფლების პირობებში, კორუფციისთვის პასუხისმგება აუცილებლად მოუწევს ამ ქალაქის ისტორიაში ყველაზე კორუმპირებულ მერს კახა კალაძეს“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა საბა ბუაძის გამოსვლას და განაცხადა, რომ ის ცდილობს, აქცენტი გააკეთოს „ქართული ოცნების“ ბრალზე ამ ქვეყნის წინაშე, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის ბრალი ამ ქვეყანაში არის ძალიან დიდი - არჩევნებში მონაწილეობის არმიღება, პარლამენტში არშესვლა და ამით ხელისუფლებისთვის „ლეგიტიმურობის ვითომ არშემქნა“ და სხვა მრავალი, რომლებზე ლაპარაკი და დისკუსია შორს წაგვიყვანს და ამიტომ უმჯობესია, დავასრულოთ ამ თემაზე საუბარი.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ დღეს, გაცილებით უფრო ლამაზი დედაქალაქი გვაქვს, ვიდრე ის იყო ოთხი წლის წინ, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის იმ გუნდს, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა ემსახურა ჩვენი დედაქალაქისა და თითოეული თანამოქალაქისთვის და პირველ რიგში, ესენი არიან ამომრჩეველთან ყველაზე ახლოს მყოფი მაჟორიტარი დეპუტატები, საკრებულოს თითოეული წევრი და მერიის თანამშრომლები. მან მაღლობა გადაუხადა თბილისის მერს კახა კალაძეს და მის გუნდს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს და აპარატის თანამშრომლებს, რომლებმაც, მისი თქმით, ყველა პირობა შეუქმნეს საკრებულოს წევრებს იმისთვის, რომ მათ ჰქონოდათ კომფორტული სამუშაო გარემო და განაცხადა: „ეს ფურცელი გადაშლილია - სიხარული იმის გამო, რომ რაღაც გავაკეთეთ. წინ უფრო დიდი გამოწვევები გველის, რისთვისაც ჩვენ მზად ვართ“.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ის მოლოდინი, რომელიც საკრებულოში საქმიანობის დაწყებისას ჰქონდა, არ გამართლდა და იმედგაცრუებულია, რადგან, სამწუხაროდ, არსებული პოლარიზაციის პირობებში, ვერ მოხერხდა რეალური თანამშრომლობა ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის და იქიდან გამომდინარე, რომ არც ოპოზიციის მხრიდან არის კონსტრუქციულობისთვის მზაობა, იმედი არ აქვს, რომ მომავალი საკრებულოს საქმიანობისას მიღწეული იქნება პრაგმატული შედეგები. მან მაღლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისთვის, ისურვა, რომ მომავალში უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლებმა შეძლონ იქონიონ ისეთი პოლიტიკური კომუნიკაცია, როგორსაც ახერხებენ ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში და წარმატებები უსურვა იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს ჩვენთან ერთად არ არიან, მათ შორის, ირაკლი ნადირაძეს, რომელიც, მისი თქმით, „ჭეშმარიტი პატრიოტი მამულიშვილია და ამ ქალაქს ნამდვილად სჭირდება ისეთი ადამიანები, როგორიცაა ირაკლი ნადირაძე“.

ნათია მოდებაძემ მაღლობა გადაუხადა პარტიას „ქართული ოცნება“ და მის ხელმძღვანელებს იმისთვის, რომ ჰქონდა პატივი ყოფილიყო VII მოწვევის საკრებულოს წევრი, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი სტატუსი იქნება ყოველთვის. მან მაღლობა გადაუხადა ასევე, ზურაბ აბაშიძეს, გიორგი ტყემალაძეს, ზურაბ ჩიკვილაძეს და კახა ლაბუჩიძეს - იმ კომისიების თავმჯდომარეებს, რომლების წევრიც იყო ოთხი წლის განმავლობაში, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს და წარმატებები უსურვა საკრებულოს წევრებს მომავალ საქმიანობაში.

ზურაბ ჩიკვილაძემ 4 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, მაღლობა გადაუხადა მოსახლეობას უდიდესი ნდობის გამოცხადებისთვის, რაც მათ უფრო მეტ საშუალებას და სტიმულს აძლევს იმისთვის, რომ მეტი წარმატებული პროექტი თუ რეფორმა განახორციელონ დედაქალაქში. მან მაღლობა გადაუხადა კოლეგებს,

განსაკუთრებით მათ, ვინც საქმიანობას აღარ განაგრძობს VIII მოწვევის საკრებულოში და აღნიშნა, რომ მისთვის გამორჩეული პატივი იყო მათთან მუშაობა. ისაუბრა გიორგი ტყემალაძეზე და აღნიშნა, რომ შეუძლებელია მისი სახელი არ ახსენო ამ შენობაში, რადგან მან პირნათლად შეასრულა ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ჰქონდა. აქვე, მადლობა გადაუხადა ზურაბ აბაშიძეს იმისთვის, რომ „ერთ გუნდად შეკრული“ მოვიდნენ დღემდე და განაცხადა: „ჩვენ უფრო მეტი გამოწვევები გვაქვს, რისთვისაც მზად ვართ“. ზურაბ ჩიკვილაძემ ასევე, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს, მის ხელმძღვანელობას და აღნიშნა, რომ კახა კალაძემ განახორციელა ისეთი პროექტები და რეფორმები, რაც ვერ შეძლო ვერცერთმა წინა ხელისუფლებამ და თბილისის მერმა და აღნიშნა, რომ თბილისელებმა გამოიყენეს ძალიან დიდი შანსი, რომ მესამე ვადით აირჩიეს თბილისის მერი, რომელსაც ძალიან ბევრი პროგრამის და პროექტის განხორციელება აქვს დაგეგმილი. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატს, მათ შორის, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სამდივნოს უფროსს და თანამშრომლებს.

გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, რომ ვერ წარმოედგინა თბილისის საკრებულო გიორგი ტყემალაძის გარეშე და მადლობა გადაუხადა მას. აქვე, მადლობა გადაუხადა გიორგი ალიბეგაშვილს, რომელიც მისი საკრებულოში საქმიანობის დაწყებისას იყო V მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე. გიორგი ახვლედიანმა ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს მეგობრობისთვის და მომავალ სამიანობაში წარმატებები უსურვა, როგორც მათ, ასევე, VIII მოწვევის საკრებულოს ახალარჩეულ წევრებს. საუბრის ბოლოს, გიორგი ახვლედიანმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატს, თავისი სამდივნოს თითოეულ თანამშრომელს და წარმატებები უსურვა მათ.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა: „გიგას განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის... ჩვენ წლების განმავლობაში ერთად მოვდივართ პოლიტიკურ ასპარეზზე... გიგა დააკლდება აქაურობას, მაგრამ მეგობრობას არა... წარმატებები ყველა ჩვენგანს, გიგასთან ერთად და დარწმუნებული ვარ, ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო გაძლიერდება“.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღვების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ არაგველი

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ არაგველი

4. „მისამართზე - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ ს/კ. N01.17.12.003.255 (ამჟამად ქ.თბილისი მოსკოვის გამზირი N9ა - ს/კ. N01.17.12.003.255; მოსკოვის გამზირი N9ბ, გ - ს/კ. N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N50 და N52-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N52-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.303.004, ფართობი: 884 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.002.1031, ფართობი: 1511 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N82-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.533, ფართობი: 1677 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

9. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის ხევი N11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: N01.14.14.002.117 - ფართობი 539 კვ.მ.; N01.14.14.002.164 - ფართობი 193 კვ.მ.; N01.14.14.002.128 - ფართობი - 654 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

11. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.02.365.105; N01.81.02.365.107; N01.81.02.365.106) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, N16; N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.23.559, N72.16.15.257, N72.16.23.617, N72.16.23.618, N01.72.58.031.034, N72.16.23.077, N72.16.23.074, N72.16.15.256, N72.16.23.078, N72.16.33.142, N01.72.58.031.036) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.20.135; N01.72.16.104.084; N01.72.16.104.083-ის ნაწილი) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

15. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N160; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩა, N2; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.28.087; N81.02.28.089; N81.02.28.090; N81.02.28.088; N81.02.28.153; N81.02.28.071; N81.02.28.070; N81.02.28.024; N81.02.03.628; N81.02.03.629; N81.02.28.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, გიორგი კვინიტაძის I შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.30.181; 81.02.30.185; 81.02.30.184; 81.02.93.160; 81.02.03.342; 81.02.03.341; 81.02.30.078; 81.02.30.003; 81.02.03.732; 81.02.94.027; 81.02.03.538; 81.02.03.716; 81.02.03.712; 81.02.03.720; 81.02.03.713; 81.02.03.307; 81.02.30.065; 81.02.30.063; 81.02.30.064; 81.02.30.054; 81.02.30.066; 81.02.30.067; 81.02.03.734; 81.02.30.073; 81.02.30.033; 81.02.03.445; 81.02.30.020; 81.02.30.019; 81.02.30.008; 81.02.94.074; 81.02.03.368; 81.02.30.075; 81.02.03.537; 81.02.03.777; 81.02.30.183; 81.02.03.643; 81.02.03.672; 81.02.30.002; 81.02.03.699; 81.02.03.308; 81.02.30.016; 81.02.03.706; 81.02.03.790; 81.02.03.444; 81.02.30.076; 81.02.30.010; 81.02.03.349; 81.02.98.434; 81.02.03.365; 81.02.98.437; 81.02.30.068; 81.02.30.069; 81.02.03.347; 81.02.93.070; 81.02.93.146; 81.02.94.588; 81.02.94.410; 81.02.03.573; 81.02.03.669; 81.02.03.408; 81.02.03.409; 81.02.30.087; 81.02.03.424; 81.02.03.332;

81.02.30.087; 81.02.30.088; 81.02.03.331; 81.02.00.416, 81.02.00.782; 81.02.03.819; 81.02.03.919; 81.02.03.420; 81.02.03.984; 81.02.98.941; 81.02.00.219; 81.02.30.109; 81.02.03.500; 81.02.30.041; 81.02.30.097; 81.02.30.102; 81.02.97.890; 81.02.03.459; 81.02.03.407; 01.81.02.392.072; 81.02.97.086; 81.02.30.011; 81.02.03.459; 81.02.03.957; 01.81.02.277.001 (ნაწილი)) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.17.391; N72.16.21.074; N72.16.21.072) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

18. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ქუჩა N5, N3; ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ქუჩა, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქი თბილისი, ნუცუბიდის ქ.N5, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის წინ; ქალაქ თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა N28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.025.020, N01.14.15.025.021, N01.14.15.025.033, N01.14.15.025.027; N01.14.15.025.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ.N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.917; N01.19.24.007.911; N01.19.24.007.908; N01.19.24.007.916 -ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N599 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

21. „ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლებაში, II და III მიკრორაიონებს შორის, დიდი დიდმის დასახლება III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.08.006.641; N01.10.08.006.642; N01.10.08.006.651) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N378 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

22. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, ნაკვეთი 09/024-ზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

N01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N382 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის N01/90 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

24. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (ნაკვეთები: N4/57; N4/58; N4/59; N4/60; N4/71) შპს „ცენტრ პოინტ სიტი“ და შპს „სანაპირო- 2004“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

25. „ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქი თბილისი, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N29თ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე .მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N206 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი (ჭაობის მიწა) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.930; N72.16.17.850; N72.16.21.961) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N81.02.94.957) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

28. „ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ.N20-ისმიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციციწო ბარბაქაძისთვის (პ/ნ. 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

29. „ქ.თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N99-ის მიმდებარედ N01.12.12.003.141; N01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, ხათუნა გამცემლიძესთვის (პ/ნ. 01017007820) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

30. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ.N19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ. 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

31. „ქ.თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.020) ეკა ჯანიკაშვილისთვის (პ/ნ. 01008006732) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

32. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ. 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

33. „ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვასილი შელეგიასთვის (პ/ნ. 62004005989) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

34. „ქ.თბილისში, იორის ქუჩა 3-7/გიგა ბათიაშვილის I შესახვევი, N4-6-ის მიმდებარედ N01.17.01.041.013 და N01.17.01.041.021 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, თინათინ რაზმაძესთვის (პ/ნ. 59001011939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

35. „ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34-ის მიმდებარედ არსებული 520 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.045) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოსთვის“ (ს/ნ. 205272863) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

36. „ქ.თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

38. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ.თბილისში, არჩილ მეფის ქ.N13-15-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ - ს/ნ. 405385925) ნაწილობრივ გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა, N17-ში, მდებარე 54.80 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.05.010) და 61.70 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230.01.04.005) უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართების) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-259-11-11441 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული აუქციონის განსაკუთრებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2024 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №-802-5-30603 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ. 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიდმის

დასახლების მიმდებარედ არსებული 8118 კვ.მ. ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ახალ ვაზისუბანს“ (ს/ნ: 405675899) შორის 2024 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7035 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან - შპს „ახალი ვაზისუბნის“ (ს/ნ: 405675899) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

44. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

45. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

46. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ თბილისის 2025 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად განპირობებულია ტრანსპორტის კომპანიის მიერ ახალი ვაგონების მოწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულებით, კერძოდ, საჭირო თანხა - 5000000 ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტს გამოუყო ფინანსთა სამინისტრომ და ამასთანავე, წარმოდგენილია სხვადასხვა დამატებითი ღირებულების გადასახადებში არსებული რესურსის - 9000000 ლარის დამატება ტრანსპორტის კომპანიისთვის, ამავე მიმართულებით. აქვე აღნიშნა, რომ პროექტით ასევე, წარმოდგენილია სესხების მომსახურების ნაწილში არსებული ეკონომიის - 21000000 ლარის გადანაწილება სხვადასხვა მიმართულებებით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (მაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლოზ არაგველმა. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილია წესში კონფისკაციის მუხლის და შესაბამისი პროცედურების დამატება, რომლებიც უნდა განხორციელდეს ცხოველებთან დაკავშირებით კონფისკაციის შემდეგ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლოზ არაგველმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია კონფისკაციის ნაწილის დამატება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „მისამართზე - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ ს/კ. N01.17.12.003.255 (ამჟამად ქ.თბილისი მოსკოვის გამზირი N9ა - ს/კ. N01.17.12.003.255; მოსკოვის გამზირი N9ბ, გ - ს/კ. N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ. მან მადლობა გადაუხადა კოლეგებს გაწეული საქმიანობისა და თანამშრომლობისთვის, განაცხადა, რომ ბევრი სასიკეთო საქმე აქვთ ერთად გაკეთებული, დარწმუნებულია, მომავალშიც არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ ერთობლივად და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსკოვის გამზირი N9ა,ბ,გ-ში არსებულ სამშენებლო ობიექტზე, რომელსაც საკრებულომ მიანიჭა დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი, გამოძიების ფარგლებში, ამ ეტაპზე, დაზარალებულია 218 ფიზიკური პირი, რომელთაგან დაახლოებით 28 პირს სურს ფართის სახით საკუთარი ქონების მიღება, ხოლო დაახლოებით 142 პირი თანახმაა, რომ მათ წინაშე არსებული ვალდებულება გასტუმრებული იყოს ფულადი კომპენსაციის სახით. ამ ეტაპზე, შეთანხმება მიღწეულია 98 პირთან და აქედან გამომდინარე, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია მათთვის შესაბამისი თანხის მიცემა, რომელიც ჯამში შეადგენს 710327 აშშ დოლარს, 2164334 ლარს და 12050 ევროს, რის სანაცვლოდაც აღნიშნული პირები უარს აცხადებენ რაიმე დამატებით მოთხოვნაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N50 და N52-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N52-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.303.004, ფართობი: 884 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის, კონსტრუქციული კრიტიკისთვის, გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ასმათის ქუჩა, N50 და N52-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.5-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ერთი მიწისზედა სართულის დამატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 164000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.002.1031, ფართობი: 1511 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს 8 სართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 480000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N82-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.533, ფართობი: 1677 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ჯავახეთის ქუჩა N82-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.2-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს 15 სართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 600000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2

